ზაქ. ქომარცენე ხოც.-ფედ. ხარევ. პარტია

წელიწადი მე-ხაი

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 2,500,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 100,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, ხახახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20 კაპ. ჩერვონ. ნონპარელი
4 „ 15 „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 3500,000 მან.
4 „ 2500,000 „

№ 543 პარასკევი, აგვისტოს 10 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 100,000

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტფილისის საბჭოს სხდომა გადაიდო

### ორშაბათს, 13 აგვისტოსათვის და გაიმართება რუსთველის თეატრის დარბაზში.

**დღის წესრიგი:**

1) კავკასიის ცალკე არმიის 5 წლის იუბილე.

2) საჰაერო ფლოტის მნიშვნელობის შესახებ.

3) ამიერ-კავკასიის საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების ტფილისის განყოფილების მოწყობის შესახებ.

**საბჭოს პრეზიდიუმი.**

## უმუშევრობასთან ბრძოლა

საქართველოს პროფკავშირთა მიერ შედგენილმა კომისიამ, რომელმაც გამოირკვია საქართველოში უმუშევრობის საკითხი, მეტად მნიშვნელოვანი ცნობები გამოაქვეყნა. მთელ რესპუბლიკაში უმუშევართა რიცხვი 25.000 უდრის, მათ შორის კავშირის წევრია 10.000.

კომისიის დასკვნით, საქართველოში უმუშევრობა მწვავე ხასიათს იღებს. მართალია მიღებულია ზომები უმუშევართა უზრუნველყოფისათვის, გახსნილია 500 უმუშევარისათვის სასადილო და დაწყებულია ბათომში მგზავსი სასადილოს გახსნა 200 უმუშევარისათვის, მაგრამ ეს ზომები მეტად მცირეა.

კომისიას თავის შემადგენლობაში მიუწვევია წითელი ჯვრის, უმაღლეს სამეურნეო საბჭოს, ქალაქის აღმასკომის და ქალთა განყოფილების წარმომადგენელნი და აპირებს ფართოდ დააყენოს უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლა.

კომისიას შესაძლოდ დაუნახავს საზოგადო მუშაობის მოწყობა შეშის დასამუშავებლად თუ სატყეო კომიტეტი გაიღებს სესხად 15 მილიარდ მანეთს, სადაც შესაძლებელი იქნება 600 უმუშევარის მოთავსება.

როგორც ვხედავთ მეტად სერიოზული მოვლენის წინაშე ვდგევართ. 25.000 უმუშევარი შედარებით ჩვენ პატარა ქვეყანასთან მეტად დიდი რიცხვია. კავშირების დახმარება, სასადილოების დაარსება და სხვა მგზავსი ზომები აუცილებელია, მაგრამ საკითხს ეს კიდევ ვერ გადასწყვეტს.

უმთავრესი ყურადღება მიპყრობილი უნდა იქნეს სამუშაოს ამოჩენისაკენ. სამეურნეო შრომის პირობები უნდა შეუქმნათ, აქ უნდა გამოვიყენოთ უმუშევართა ენერგია. აუცილებლად მიზან შეწონილია კომისიის აზრი საზოგადო სამუშაოს მოწყობისა. ამ საქმეში კომისიას უნდა დაეხმაროს ყველა დაწესებულებანი. რასაკვირველია არ კმარა შეშის დამზადება, მით უფრო რომ ამ საქმეს მუდმივი სამუშაოს ხასიათი არა აქვს. მიღებული უნდა იქნეს ზომები, რომ მუდმივი სამუშაო გაუჩინოთ უმუშევართ. რესპუბლიკის სამეურნეო ორგანიზაციების მოვალეობაა ამ მხრით გადადგან პრაქტიკული ნაბიჯები, მონახონ თავ-თავიანთ სფეროში ახალი სამუშაო, რომელიც უმუშევრობასთან საბრძოლველადაც გამოდგება და სამეურნეო პრინციპსაც დაიცავს.

აგრეთვე ყურადღება უნდა მიექცეს უმუშევართა რიცხვის შემცირებას. წითელი ჯვრის საზოგადოება უკვე დაპირებია კომისიას, რომ გაიღებს საზოგადო სამუშევართა მოწყობის და უმუშევართა სამშობლოში გადაგზავნის ნახევარ ხარჯებს.

ამას გარდა ოჯახის შემადგენლობას, მომუშავეთა რიცხვს ანგარიში უნდა გაეწიოს. არ შეიძლება ისეთი მდგომარეობა დაუშვათ დღეს, უკიდურესად გამწვავებულ პირობებში, რომ ერთი ოჯახიდან მსახურებდეს 2, 3, ან 4, ხოლო ზოგი ოჯახი საშუალოდ 4 სულისაგან შემდგარი, სრულიად მოკლებული იყოს სამუშაოს. ცხადია ამ ზომას, რომელიც ჰგულისხმობს ოჯახის ზოგ წევრთა უმუშევრობას და მაშასადამე მის ეკონომიურ დამოკიდებულებას მომუშავე წევრისაგან ცუდი მხაარეებიც აქვს. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ ზოგი აღშფოთებულია ამ ზომით. „კომუნისტის“ № 181 ასეთ ზომას რომელიც ამას წინეთ წამოვაყენეთ „წვრილ ბურჟუაზიულ და კონსერვატორულ შეხედულებათ“ სთვლის, მაგრამ ჩვენი სიმპატიური სურვილები აქ ვერაფერს გააწყობს, როგორი არქიკომუნისტური იდეების მატარებელი არ უნდა ვიყოთ, დღეს ამ კონკრეტ პირობებში, როდესაც 25.000 კაცი უმუშევარი კარზე მოგვდგომია, ვერ შევქმნით ისეთ პირობებს, რომ ოჯახის ყველა წევრს ამოუჩინოთ სამუშაო. ამიტომ საკითხის ამ მხარესაც ყურადღება უნდა მიექცეს. უმუშევრობასთან ბრძოლა მორიგ დამკვრელ საქმეთ უნდა გამოცხადდეს. შეერთებული ძალღონით პროფკავშირებმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ ყოველივე ზომები უმუშევრობასთან ბრძოლისათვის, ერთი ძლიერი მტერი უმუშევრობაა. მას უნდა ვებრძოლოთ მუშაობით, საქმით, სამეურნეო ორგანიზაციების მოწყობით.

## ტელიგ-დეპეშები

(„ზაკროსტას“ ცნობები)

### ს. ს. რ. კ. ცნოზის გარეშემო

**ჩეხო-სლოვაკია მეგობრულად არის განწყობილი რუსეთისადმი.**

**ვარშავა.** 3 აგვისტო. ბენეშის ორგანო „ჩეშკოე სლოვო“ სწერს: „პოლონეთი ცდილობს გააფართოვოს მცირე ანტანტის პოლიტიკური პროგრამა და ამით უზრუნველყოს თავისი აღმოსავლეთის საზღვრები. მაგრამ-ჩეხო-სლოვაკია არასოდეს არ შექმნის კონფლიქტს რუსეთთან პოლონეთის აღმოსავლეთ საზღვრების გულისათვის, რომლებსაც პოლონეთი იმ სახით, როგორათაც ეს საზღვრები არსებობენ, ამ ჟამად დიდ ხანს მაიაც ვერ შეინარჩუნებს“.

**საფრანგეთს სურს აღადგინოს სავაჭრო დამოკიდებულება რუსეთთან**

**პარიზი.** 6 აგვისტო. ბალდვინის განცხადებამ რუსეთის ეკონომიურ აღორძინების შესახებ პარიზის ბირჟაზე რუსეთის ფასიანი ქაღალდების აწევა გამოიწვია. ეკონომიურ წრეებში აღნიშნავენ კერძო პირების ცდებს რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულებათა აღდგენის შესახებ.

**სამხრეთ სლავიას სურს დაუმეგობრდეს ს. ს. რ. კავშირს.**

**ვენა.** 5 აგვისტო. ხორვატიულ გაზეთების ცნობით სამხრეთ სლავიის მთავრობამ სათანადო ინსტრუქცია გაუგზავნა თავის ელჩს პრაგაში, რათა მან დაიწყოს სავაჭრო მოლაპარაკება ს. ს. რ. კ. წარმომადგენელთან. სამხრეთ-სლავიის მთავრობას განზრახული აქვს განიხილოს დიპლომატიური დამოკიდებულება რუსეთთან.

**რუმინეთი და ს. ს. რ. კ.**

**ვენა.** 6 აგვისტო. რუმინიის საბაჟოების სამმართველომ დანიშნა კომისია საბჭოთა დელეგაციასთან მოლაპარაკების გასამართავად. კომისიის ჩამოსვლას მოელიან აკკერმანში. საზღვრებზე მოძრაობის და რუსეთის ბაზრის სასყიდათ უნარიანობის გამორკვევის მიზნით.

**საფრანგეთის სენატორის ჩამოსვლა რუსეთში**

**პარიზი.** 5 აგვისტო. რუსეთში ჩამოდის საფრანგეთის სენატორი დემანზი, რომელიც მოით ხოვდა რუსეთთან დაახლოვებას. სენატორმა, რომელსაც განზრახული აქვს თავისი შეხედულებები პირადი შთაბეჭდილებებით შეავსოს, აღნიშნა, რომ მისი მგზავრობისათვის ფინანსები არ აქვს გაღებული რომელიმე პოლიტიკურ ჯგუფს.

### გერმანიის ამბები

**საქსონიის მთავრობა ბურჟუაზიის მხარეზეა**

**ბერლინი.** 4 აგვისტო. საქსონიის მთავრობის მერყევი პოლიტიკა სავსებით გამოაშკარავდა ცვიკაუში მომხდარ ამბების დროს, როდესაც ცეიგნერის მთავრობამ პოლიცია გაგზავნა მშიერ მუშათა დემონსტრაციის წინააღმდეგ. კომპარტია ცეიგნერის საქციელს პროვოკაციას უწოდებს და აღნიშნავს, რომ ცეიგნერის კაბინეტის მოქმედებამ საქსონიის პროლეტარიატს დაუსვა საკითხი ამ კაბინეტის არსებობის შესახებ

კომპარტია აღნიშნავს, რომ საქსონიის მთავრობამ აშკარათ აიღო ბურჟუაზიული გეზი. ამგვარად კომპარტიის წინასწარმეტყველება, რომ სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას აუცილებელი დაცემა მოელის, ვინაიდან ის ვერ შესძლებს შინაგან წინააღმდეგობათა გადაწყვეტას,—გამართლდა. კომპარტიის პრეზიდიუმი სვამს საკითხს: ანხორციელებს თუ არა ცეიგნერის კაბინეტი პროლეტარულ თვითდაცვის პროგრამას, კონტრ-რევოლიუციონერთა განდევნას მმართველობის ორგანოებიდან და მუშათა ნივთიერ უზრუნველყოფას.

**მთავრობა ხელს უწყობს სპეკულიაციას.**

**ბერლინი,** 6 აგვისტო. მთავრობამ გააუქმა დადგენილება უცხო ვალიუტით სპეკულიაციის შეზღუდვის შესახებ. მთავრობის ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია, რომ სპეკულიაციის შეზღუდვა ხელს უშლიდა საქონლის გაცვლა-გამოცვლას და მოსახლეობის და აგრეთვე წარმოებების პროდუქტებითა და ნედლი მასალით მომარაგებას.

**მარკის კურსის დაცემა.**

**ბერლინი.** 7 აგვისტო. ვალიუტით სპეკულიაციის შემზღუდავ განკარგულების გაუქმებამ მარკის კურსის არა ჩვეულებრივი დაცემა გამოიწვია. ბერლინის ბირჟაზე დოლლარის ოფიციალური კურსი უდრის 1.550.000 მარკას, არა ოფიცალური—2 მილ. მარკას; ამასთანავე მარკის კურსის დაცემა გრძელდება ყოველდღიურად გამოდის 4 მილიარდი მარკის ღირებულების ფულის ნიშნები, მაგრამ ეს რაოდენობა ვერ ფარავს მოთხოვნილებას და ფულის ნიშნების ნაკლებობა კატასტროფიულ ხასიათს იღებს. სახელმწიფო სტამბის გარდა ფულის ნიშნები იბეჭდება 30 კერძო სტამბებში დღე და ღამის განმავლობაში.

**პოლიციის თავგასულობა.**

**ბერლინი.** 7 აგვისტო. დრეზდენში 4 დღეა გრძელდება დამშეულ უმუშევართა დემონსტრაცია. პოლიცია შეიჭრა უმუშევართა კრებაზე, დაატუსაღა მოქმედების კომიტეტი და 200 უმუშევარი.

**ანგარიშების გასწორება ოქროთი.**

**ლონდონი.** მარკის კურსის არაჩვეულებრივი დაცემის გამო, კანცლერმა კუნომ მოიწვია გუშინ პარტიის ლიდერების თათბირი, რომელმაც წინადადება მისცა მთავრობას გადაიყვანოს ანგარიშების გასწორება ოქროს ვალიუტაზე. მთავრობას განზრახული აქვს შემოიღოს ანგარიშების გასწორება ოქროს ვალიუტით, რკინის გზაზე, ფოსტაში, ტელეგრაფში და პირდაპირ გადასახადების აკრების დროს ამ რეფორმის გატარება განზრახულია 2 სექტემბრიდან.

### საკონტრიბუციო საკითხი.

**„რუხი წიგნი“**

**პარიზი.** გაზ. „ტან“-ის ცნობით, ბელგიის მთავრობამ გადასწყვიტა გამოაქვეყნოს „რუხი წიგნი“, რომელიც შეიცავს დოკუმენტებს საკონტრიბუციო საკითხში, იანვრის კონფერენციიდან დაწყებული ივლისამდე მოკავშირეთა უკანასკნელ მოლაპარაკებითურთ.

**განხეთქილების საშიშროება.**

**რომი.** იტალია დაინტერესებულია საფრანგეთის და ინგლისის დიპლომატიური დავით საკონტრიბუციო საკითხის გამო ეშინიანთ მოკავშირეთა შორის მოსალოდნელ განხეთქილების რასაც ძალიან ცუდი შედეგები მოჰყვება ევროპისათვის. მუსოლინის პოლიტიკას სთვლიან „საშუალო კურსის“ პოლიტიკად, მაგრამ მიაჩნიათ იტალიის უფრო გაბედული გამოსვლა, რათა თავიდან აიცილონ განხეთქილება და ბოლოს და ბოლოს გადაჭრილ იქნეს საკონტრიბუციო და რურის საკითხები.

**ამერიკა და საკონტრიბუციო საკითხი.**

**რომი.** რომის დიპლომატიურ წრეებში დარწმუნებული არიან, რომ მუსოლინი და ვილსონი ურჩევენ ამერიკის ახალ პრეზიდენტს კულიჯს გავლენა მოახდინოს საფრანგეთსა და ინგლისზე ევროპის ეკონომიურ და, შესაძლოა, სოციალურ კატასტროფის თავიდან ასაშორებლად. რომში აცხადებენ, რომ იტალია ყოველთვის მზადაა ითანამშრომლოს ამერიკასთან ისეთ გეგმის გატარების დროს, რომელიც დაიცავდა ევროპას მოსალოდნელ კატასტროფისაგან. ევროპის მომავალი კეთილდღეობა დამოკიდებულია იმაზე, რა გზას დაადგებიან იტალია და ამერიკა მომავალ კვირამდე.

**ამერიკა ერევა.**

**ნიუ-იორკი.** 7 აგვისტო. ევროპიდან დაბრუნებულმა ამერიკის კონგრესის წევრმა მადდერმა განაცხადა, რომ დადგა უკანასკნელი საათი ამერიკის ჩარევისათვის რურის ამბებში. მადდერის სიტყვით, ამერიკა ძლიერ დაინტერესებულია ფინანსიურის მხრივ საკონტრიბუციო საკითხში და ამიტომ მან უნდა შეარიგოს მოკავშირეები და სამუდამო ლიკვიდაცია უყოს საკონტრიბუციო კონფლიქტს.

**საფრანგეთსა და ინგლის შორის დამოკიდებულება დაჭიმულია.**

**პარიზი.** 6 აგვისტო. ბურჟუაზიული პრესსა ერთხმად აღნიშნავს, რომ კერზონისა და ბალდვინის განცხადება საკონტრიბუციო საკითხის შესახებ ღიათ სტოვებს მოლაპარაკების გზას. სოციალისტების აზრით, ბალდვინის განცხადება არის ცნობა იმისა, რომ ინგლისსა და საფრანგეთს შორის შეუძლებელია მთლიანი პოლიტიკა. კომუნისტური პრესა აღნიშნავს მხოლოდ დამოკიდებულებათა უფრო და უფრო დაჭიმვას საფრანგეთსა და ინგლისს შორის.

**თათბირობენ.**

**ლიფილდი.** 8 აგვისტო. პარიზიდან იტყობინებიან, რომ იქ ჩასულს ინგლისის სამხედრო მინისტრ დებრის ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა პრეზიდენტ მილიერანთან. პარიზის პოლიტიკური წრეები ამტკიცებენ, რომ ახლო მომავალში მოხდება თათბირი კერზონსა და პუანკარეს შორის.

## ახალი ამბები

— **დასასვენებელი სახლები.** ამ ჟამად დასასვენებელ სახლებში ირიცხება სულ 1293 მუშა-მოსამსახურე. ამედან 279 რკინის გზელის, 915 ტფილისის პროფკავშირების წევრია და 99 პროვინციიდან.

— **შემოწირულება საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ.** სახელმწიფო კოლოფების ფაბრიკა „ინტერნაციონალ“-ის მუშებმა ჰაეროპლანი „ბოლშევიკი“ ს სასარგებლოდ შეაგროვეს ადგილობივ მუშებს შორის სამოცდა ოთხი მილიონი მან. რომელიც უკვე გადაეცა დანიშნულებისამებრ.

— **აღმასკომმა დაადგინა,** რათა ქალაქის ცენტრალური ლაბორატორია შეკეთებულ იქმნას და ამისათვის გადასდო საჭირო თანხა.

— **საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ.** ქალაქის აღმასკომმა დაადგინა ერთი კვირის განმავლობაში გაადიდოს აბანოს ბილეთებზე 10 პროც. ღირებულება საჰაერო ფლოტის ფონდის გასაძლიერებლად.

— **ტრამვაის ბილეთებზე.** მგზავრებს გადახდებათ ზედმეტი 5 პროც. 12 აგვისტომდე საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ.

-- **აღმასკომის დადგენილებით** სახალხო განათლების კომისარიატის კინო-სექციების პლაკატებზე და აფიშებზე გადასახადი შეამცირეს. ამასთანავე მოიხსნას გადასახდი იმ პლაკატებზე, რომელიც გამოკიდული იქნებიან თეატრებთან.

— **ხიმინდის გატანა.** აფხაზეთის საგარეო ვაჭრობის სამმართველო მოლაპარაკებას აწარმოებს „არკოსთან“ საზღვარ-გარედ 1 მილიონ ფუთ სიმინდის გაყიდვის შესახებ.

— **მეთამბაქოთა კავშირმა,** სამურზაყანოს თამბაქოს კოოპერატივს მისცა 200 ფუთი თამბაქო მომავალ მოსავლის ანგარიშში.

— მეთამბაქოთა კავშირმა აფხაზეთის თამბაქოს ტრესტს გაუნაღდა ნახევარი შესატანი თამბაქო, ფუთი 12 მანეთობაზე ოქროთი. სულ გადასცემს 6.250 ფუთს 5000 ოქროს მანეთად ღირებულს.

— **მეთამბაქოთა კავშირმა** ინგლის-რუსეთის კომპანიასთან დასდო ხელშეკრულება 12,000 ფუთ თამბაქოს მიყიდვის შესახებ, ფუთი 20 მ. 50 კაპ. ოქროთი. საგარეო ვაჭრობის რწმუნებულმა ეს ფასი მცირედ მიიჩნია, ხელშეკრულობა გააბათილა და ფუთზე 22 მანეთი მოითხოვა.

— **უკანასკნელ ცნობებით** კოდორის მაზრაში დათესილია 1.300 დესეტინა თამბაქო.

— **ციმბირის ჭირი.** სოხუმიდან იტყობინებიან, რომ სოფელ პოლტავო-ოლგინსკში საქონლის ჭირი გაჩნდაო. ამასთანავე თურმე ციმბირის ჭირი მძვინვარებს გუმისტის მაზრაშიაც.

— **მუშათა ცენტრალურ კლუბში** შაბათს 11 აგვისტოს საზაფხულო სცენაზე სახელმწიფო ოპერის მსახიობების მიერ წარმოდგენილი იქნება „ჯამბაზები“, ოპერა 2 მოქ. ლეონკოვალოსი.

— **ტფილისის ბირჟა.**

| | |
|---|---|
| სახელმწიფო ბანკის ჩერვონცები . | 24,500 |
| გირვანქას ტერლინგი . . . | 24,400 |
| ჩეკი . . . . | 22,000 |
| დოლარი . . . . . | 5,900 |
| ჩეკი . . . . . | 5,300 |
| ოსმალური ლირა . . . . | 3,750 |
| იტალიანური ლირა . . . . | 180 |
| ფრანგული ფრანკი . . . . | 250 |

## პატარა შენიშვნა

გუშინდელი „ტრიბუნის“ № 542 მოთავსებულია ამხ. სერ. ამაღლობელის წერილი: „ქალთა ფაშისტური მოძრაობა“, რომელშიაც ამხანაგი ნათლად აღნიშნავს იმ მწარე სინამდვილეს, რომელსაც ადგილი აქვს დღეს ფაშისტურ ორგანიზაციაში. „მოულოდნელი იყო, ამბობს ავტორი, თუ ქალთა ბურჟუაზიული მოძრაობა, რომელიც თანასწორობის ლოზუნგით გამოდიოდა, აქამდე დაეცემოდა, რომ ფაშისტურ ორგანიზაციებში ჩაებმებოდა და უუფლებობისათვის შეუდგებოდა მედგარ ბრძოლას... „აი ცინიზმი და ირონია ქალთა ბურჟუაზიული მოძრაობისა, განაგრძობს იგი; ბურჟუა ქალები იბრძვიან იმისთვის, რომ უფლებანი არ ჰქონდეთ“.

„ჭეშმარიტად უფრო მეტი დაცემა შეუძლებელია“.

ჭეშმარიტად უფრო მეტი ცალმხრივობა შეუძლებელია ამხ. სერ. ა—ლო.

შეუძლებელი და, თუ გნებავთ, წარმოუდგენელიც არის, რომ ადამიანმა ასე ცალმხრივად მიუდგეს საკითხს.

იქ სადაც მეტი დაკვირვებაა საჭირო და განგებ თვალები დაიბრმავო? ჩვენ ვიცით, რომ ფაშიზმი უკიდურესი რეაქციონური მოძრაობაა, რომელშიაც ჩაბმულია ასი ათასობით მუშები; ის მუშები, რომლებიც ყოველთვის და ყველა ქვეყანაში რევოლიუციონურ მოძრაობას სათავეში უდგნენ და პროლეტარულ დროშის ქვეშ მედგრად იბრძოდნენ. მაგრამ დღეს კი ჩვენდა სამწუხაროთ, მათ სრულიად მოწინააღმდეგე რიგებში ვხედავთ და თქვენი გამოთქმით რომ აღვნიშნოთ „თავის უუფლებობისათვის იბრძვის“. ეს, რა თქმა უნდა, სამწუხარო და სავალალოა, მაგრამ მაინც სინამდვილეა, რომელსაც არაფერი გაეწყობა. და ყველა ამის შემდეგ რომ 500,000 ფაშისტთა შორის, რომლებიც უმთავრესად მუშებისაგან შესდგება 10,000 ქალი მოყვა გასაკვირია?

გიკვირთ ნახევარ მილიონ მუშებში, რომლებიც ასეთი ენტუზიასტური იერიშით ილაშქრებიან თავის თავის წინააღმდეგ 10,000 ქალმა სრულიად ბუნებრივად გაყვა თავის ქმრების გზას?

შესაძლებელია რომელიმე მოძრაობის უარყოფითი მხარე აღნიშნო და დაასაბუთო, მაგრამ წარმოუდგენელია ამ მოძრაობიდან უმთავრესი გამოტოვო. რატომ არაფერს იტყვით იმ 500,000 მუშაზე, რომლებიც თავის საბოლოო ინტერესების წინააღმედ იბრძვიან და რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ამ მოძრაობას?

რატომ მაინცა და მაინც ქალები გახდა თქვენი ასეთი დიდი ყურადღების ღირსი?

**ხ. ჩხენკელი.**

## პარტიაში

**ძონძირ-ისულის თემი.** (სენაკის მაზრა) თემკომის თაოსნობით, აგვისტოს 4-ს ისულის შრომის სკოლის დარბაზში შესდგა უპარტიო და პარტიულ მუშა ქალთა საზოგადო კრება. კრებას დაესწრო ქალთა დიდძალი რიცხვი.

მშრომელ ქალთა საერთაშორისო მაძრაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხანაგი გრიშა ხოფერია.

მომხსენებელმა მდაბიო და გასატეხ (მეგრულ) ენით გადუშალა კრებას ქალთა ყოფა-ცხოვრების სურათი კაცობრიობის არსებობის განმავლობაში.

დაწვრილებით შეეხო მუშა ქალთა მდგომარეობას პრიმატიულ კომუნიზმის პერიოდში. გაარკვია ქალის სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა ფეოდალიზმის ხანაში.

განმარტა მუშა ქალების ცხოვრების საშინელი პირობები ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ წესწყობილებაში. შეეხო ქალთა საკითხის სოციალისტური თვალსაზრისით გადაჭრას და ქალთა ეკონომიურ-უფლებრივ მდგომარეობას სოციალისტურ საზოგადოებაში.

დასასრულ, ამხანაგებმა განმარტეს ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობა მუშა ქალთა კითხვის გადაწყვეტის საქმეში.

სალამოს 6 საათზე საერთოდ კრება დაიშალა და შესდგა მხოლოდ პარტიულ ამხ. ქალების სხდომა. არჩეულ იქმნა ქალთა კომიტეტში. ხუთი ამხანაგი მუშა ქალისაგან შემდგარი. კომიტეტის პირველ სხდომამ შეიმუშავა უპარტიო ქალთა მასსაში პარტმუშაობის წესები. ამ ჟამად ქალთა ორგანიზაციაში ირიცხება 18 წევრი და რამოდენიმე კანდიდატი.

მეორე დღეს, აგვისტოს 5-ს შესდგა პარტორგანიზაციის კრება, დაესწრენ ისულის და ძონძირის ყველა ამხანაგები, თავმჯდომარეობდა ამხ. სტ. ტორჩინავა. მოსმენილ იქმნა რამდენიმე პრაქტიკულ ხასიათის მოხსენებანი.

განიხილეს პარტიულ კოოპერატიულ დუქნის „კომუნას“ საკითხი. დადგენილ იქმნა პარტუჯრედებისათვის გაზ. „ტრიბუნას“ გამოწერა ორგანიზაციის ხარჯზე.

ამხანაგებს დაურიგდა ამხ. გ. მუშიშვილის წიგნი: „სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი. 50-პროც. ფასდაკლებით, უკიდურესად ღარიბებს—უფასოდ. დაევალა უჯრედების და თემკომის პასუხისმგებელ მდივნებს წიგნის შესახებ მოხსენების დამზადება და შინაარსიის—განმარტება მდაბიურად. რადგან წიგნის საკმაო რიცხვი ვერ აღმოჩნდა კანდიდატებზე გასაცემად, კრებამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

ეთხოვოს სამაზრო კომიტეტს ახლო მომავალში გამოგვიგზავნოს წიგნები.

მოსმენილ იქმნა საინფერმაციო მოხსენება სამაზრო პარტკონფერენციის შესახებ, რომელიც იმართება ქ. ახალსენაკში აგვისტოს 26-ს. მოხსენებამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

დასასრულ, კომიტეტს კრებამ დაავალა სცენის მოყვარეთა წრის შედგენა. პარტიულ ამხანაგებისაგან, ორგანიზაციის განკარგულებაში უკვე მოიპოვა საკმაო „ინტელიგენტური“ ძალები. პარტიულ სცენის მოყვარეთა დასის შედგენას კი დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია როგორც მშრომელ მასისათვის, ისე ორგანიზაციისათვის.

ორშაბათს აგვისტოს 6-სათვის გადაწყვეტილი იყო ყანა „კომუნა“-ს კოლექტიურად დამუშავება. მართლაც, დილის 6 საათიდანვე იწყეს დენა ამხანაგებმა შესაკრებ პუნქტის—შრომის სკოლისაკენ. ყველას ეტყობოდა აღფრთოვანება, ყველა ერთის გრძნობით იყო აღჭურვილი და ერთის მიზნით გატაცებული, რვა საათზე უკვე გამოცხადდა სრული მომუშავე რიცხვი 25 ამხ.

სიტყვა წარმოსთქვა ამხ. კუციამ, რომელმაც აღნიშნა დაწყებული საქმის სიდიადე და კომუნალური მიწათ-მოქმედების მნიშვნელობა.

„გაუმარჯოს კომუნას“ ძახილმა და ტაშმა დაფარა ამხანაგის უკანასკნელი სიტყვები.

შემდეგ ამხ. დაეწყვნენ სამ წკრივად, აღმართეს წითელი დროშა [illegible] სამუშაოსაკენ, რევოლიუციონური და ხალხური სიმღერათა გუგუნი [illegible].

მთელი სოფელი, დიდი და პატარა ჯგუფჯგუფად ეგებებოდა ამხანაგებს. 9 საათზე მივიდნენ დანიშნულ ადგილას და გაორკეცებულის ენერგიით შეუდგნენ მუშაობას.

მზეც ჩაესვენა და თოხნაც დასრულდა. ამხ. გრიშა ხოფერიამ წარმოსთქვა საინტერესო და მეტად შინაარსიანი სიტყვა, სოციალისტური და ოპტიმიზმით გაჟღენთილი. მან აღუთქვა ამხანაგებს ცენტრალურ კომიტეტის სახელით შემდეგ მუშაობისას ფოტოგრაფიული სურათის გადაღება „კომუნა“-სი.

სიმინდს მეტად კარგი პირი უჩანს. ეს კი დიდად საყურადღებო და სასიამოვნო მოვლენაა, რადგან მთელი სოფელი დიდის ყურადღებით უყურებს „კომუნა“-ს მაგალითს.

პასუხისმგებელი მდივანი

აკაკი კუცია.

### საწევრო ბილეთების შემოწმება.

8 აგვისტოდან სწარმოებს პარტიის საწევრო ბილეთების შემოწმება. პარტიის ყოველი წევრი, ჩაწერილი ტფილისის რომელიმე ორგანიზაციაში, ვალდებულია გამოცხადდეს ბილეთის შესამოწმებლად სალამოობით 6—8 სათზედ პარტიულ კლუბში. ბილეთების შემოწმება უნდა დასრულდეს 14 აგვისტომდე.

ტფ. კომიტეტის მდივანი **მ. ხეფერთელაძე.**

## საუბარი გლეხთან

### ძროხის წველა ასე უნდა

**წესრიგზე წველა ხელს უწყობს მეტი და უკეთეს ხარისხის რძის მიღებას ცურიდან.**

1 წველის დროს საჭიროა დავიცვათ სისუფთავე.—როგორც გაშრობის ისე მეწველობის დროს ძროხის ცური მუდამ მშრალი და სუფთა უნდა იყოს.

უკანა კიდურები, დაწყებული კუკუხოებიდან ძირს ფეხებამდე უნდა ხშირათ ჩამოვბანოთ წყლით და შეუმშრალოთ სუფთა ტილოთი.

ხბოს მოგების ორი კვირის წინ ძროხას ხშირათ უნდა უსინჯოთ ცური და თუ შეატყობთ, რომ ცური უხურს და შემსივნებული აქვს, უნდა ყოველდღე გამოწველოთ ცოტ-ცოტა.

გამოწველა პირველ ხბოზე ძროხას მიაჩვევს წველას და რძეც მოუდგება.

ვიდრე წველას შეუდგებოდეთ, მობანეთ ცური თბილი წყლით და საპნით, შემდეგ შეუმშრალეთ სუფთა ტილოთი დაიბანეთ ხელები საპნით და შეიმშრალეთ სუფთავე სახოცით.

უსუფთაო წველა იწვევს რძის წახდენას და ცურის დაავადებას.

## ეროვნული საკითხი ლენინიზმის სკოლაში

### 5. ქართველი ხალხის ეროვნული მისწრაფება *).

ჩვენ გვინდა ამ თავში ერთგვარი დასკვნის სახით, ჩვენი ერის განვითარების საზომით განვიხილოთ თანამედროვე ძალთა განწყობილება.

ჩვენ მეტად დიდსა და სერიოზულს მომენტში ვცხოვრობთ. კაცობრიობის ისტორიაში ჯერ საერთაშორისო ომმა და შემდეგ საერთაშორისო რევოლიუციამ სრულიად ახალი ფაქტები წარმოშვეს და მსოფლიო ახალი შესაძლებლობის წინაშე დააყენეს. თუ საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ ფაქტიურად გზა გაუხსნა ფართო მაშტაბით კაპიტალისტურ მეურნეობასა და გამანადგურებელი მახვილი ჩასცა უკვე ძირ მომპალს ფეოდალურ წესწყობილებას, ჩვენს დროში უკანასკნელი ოპერაციის ობიექტი თვით კაპიტალისტური მეურნეობა ხდება და რუსეთის დიადი რევოლიუციონურ მოძრაობით ნიადაგი ეყრება ახალ სოციალურს ურთიერთობას.

დღეს ხდება საერთაშორისო მაშტაბში ფაქტიური შეტაკება იარაღით ხელში ორი დიამეტრალურად საწინააღმდეგო მოძლვრების: კაპიტალიზმისა და სოციალიზმის და ამ ბრძოლის სარბიელს წარმოადგენს მთელი მსოფლიო, მთელი ქვეყნიერების ყოველი კუნჭული.

ჩვენი ერიც ამ ბრძოლის პროცესში არის ფაქტიურად ჩაბმული და იგიც ამა თუ იმ სახით აქტიურად მონაწილეობას ღებულობს დიად ბრძოლის ამბებში.

კითხვა იბადება: როგორ პერსპექტივებს უშლის მომავლისათვის ჩვენს ერს ამა თუ იმ საერთაშორისო ძალის გამარჯვება? ან როგორი არის ქართველი ხალხის ეროვნული მისწრაფება და როგორს წყობილებაში არის შესაძლებელი მისი სრულყოფა?

როდესაც ქართველი ერის ცხოვრების ისტორიულ ვითარებას აკვირდებით და სწავლობთ მის წიაღში დაბადებულ მოვლენათა მსვლელობას, თქვენთვის ნათელი ხდება, რომ ჩვენი ერის წინმსვლელობასა და მის კულტურულ აყვავებას ყოველთვის აფერხებდა როგორც მისი (ერის) უვარგისი სოციალური წყობილება, ისე მის გარეშე არსებული საერთაშორისო პოლიტიკური ფაქტორები. ეს ორი გარემოება იყო ის მთავარი მიზეზები, რომელნიც არ აძლევდენ საშუალებას ჩვენი ერის წიაღში დაგუბებულ კულტურულ ძალებს განვითარებისათვის. ერის წარმატება არსებიდად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მისი სოციალური წყობილება იძლევა საშუალებას ერის პოტენციალური ძალების ასამოძრავებლად. საუკუნეთა განმავლობაში ქართველი ერის სოციალური შენობა, მისი პოლიტიკური და ეკონომიური საფუძვლები წარმოადგენდენ იმ ბორკილებს, რომელნიც მეტის მეტად აფერხებდენ ერის წარმატების საქმეს. ქართული პუბლიცისტიკის ნიჭიერმა წარმომადგენელმა არჩილ ჯორჯაძემ ერთ თავის წერილში ხაზგასმით აღნიშნა ეს გარემოება. იგი სწერს: „რომ დემოკრატიის გარეშე ჩვენს პირობებში არც ერთ მიმდინარეობას საძირკველი არა აქვს, ეს ცხადია იქიდან, რომ საქართველოს დაძაბუნება, სხვა პატივსადებ მიზეზთა გარდა, მის უვარგის სოციალურ წყობილებითაც (ხაზი არჩილისაა) იყო გამოწვეული და ეს წყობილება, დღესაც ცოცხალი, ძლიერ აფერხებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებას. ეჭვი არ არის იმაში, რომ თუ ამისთანა პატარა ხალხი, როგორც არის ქართველი ხალხი, დემოკრატიულ საფუძვლებზე არ მოაწყო და მოაწესრიგა თავისი სოციალური და ეროვნული ორგანიზაციები, მისი დღეგრძელობა და მომავალი სათუო გახდება. ასე რომ ჩვენი დემოკრატიზმი ისტორიული და კულტურული საჭიროებაა, და არა წიგნებიდან ამოღებული განყენებული ფორმულა“. (ხაზი ჩემია) *).

არ. ჯორჯაძე საქართველოს სოციალური ცხოვრების შესწავლამ და მისმა ისტორიულმა ვითარებამ ლოღიკურად მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ერის გაჯანსაღებისათვის საჭირო არის ამ უვარგისი სოციალური შენობის მოსპობა და მისი ახალს საფუძვლებზე გარდაქმნა. დემოკრატიულ საფუძვლებზე მოწყობილი ეროვნული ორგანიზაცია, არჩილის გაგებით, ისტორიულ აუცილებელ ეტაპს წარმოადგენს ქართველი ერის განვითარების საქმეში. დავიმახსოვროთ არჩილის ეს ერთი ძირითადი დებულება, ის ცოტა ქვევით გამოგვადგება.

მაგრამ ქართველი ერის წარმატების შეფერხებაში აგრეთვე გადამჭრელი მნიშვნელობა ჰქონდა მის გარეშე მომქმედ საერთაშორისო მოვლენებს. გეოგრაფიულად საქართველო წინა აზიის შესასვლელ კარებთან მდებარეობს და ის ერთგვარი შემაერთებელი რგოლია ევროპისა და აზიის ქვეყნების. ჰალარით მოსილ ისტორიის წარსულში საქართველოს ძლიერი მეზობლები ყოველთვის ენერგიულ ცდას იჩენდენ, რომ ეს მნიშვნელოვანი რგოლი თავიანთ ხელში ჩაეგდოთ და ამით სრული ბატონ-პატრონი გამხდარიყვენ დიდი საერთაშორისო გზისა. ამ გარეშე ძალის სურვილმა და პოლიტიკამ დასცა და დაასუსტა ქართველი ერი. სამხრეთ-დასავლეთიდან მოზღვავებულ ურდოებთან ბრძოლაში უშედეგოდ ნიავდებოდა საქართველოს ენერგია და ფერხდებოდა მისი კულტურული და ეკონომიური წარმატების საქმე. მუსლიმანური ქვეყნების ორი დიდი სახელმწიფო—სპარსეთი და ოსმალეთი, რომელნიც თითქმის რკალივით შემოერტყენ საქართველოს, ერთი მეორეს ეცილებოდენ ჩვენი ერის დანაწილების საქმეში. ამ პოლიტიკის შედეგს დღესაც საკმაოდ გრძნობს ქართველი ხალხი: გამუსლიმანება თითქმის ერთი მესამედისა საქართველოს ტერიტორიისა, სადაც ერთ დროს ჩვენი ერის კულტურული აღორძინების აკვანი ყვაოდა, იყო შედეგი ოსმალეთის აგრესიული პოლიტიკისა. მეორეს მხრით, ამ პოლიტიკამ პოლიტიკურად დაანაწილა ჩვენი ერი და რამოდენიმე სამთავროებისა და სამეფოების შექმნით საქართველოს ტერიტორიაზე და მისი ერთმანეთზე დაპირისპირებით მოადუნა ერის ენერგია და მოუსპო მას საშუალება გარეშე მტრის დაპირისპირებისა. ფეოდალურმა აღვირახსნილმა პარტიკულიარიზმმა საუცხოვოდ გამოიყენა ეს მომენტი და მთელი ერის ინტერესებს ანაცვალა თავისი პირადი პატივმოყვარეობა და კუთხური ინტერესები.

ერი დანაწილებული რამოდენიმე სამეფოებად, რომელნიც ფაქტიურად მოყვენ გარეშე ძალის გავლენის ქვეშ,—იმდენად დამღუპველი და საზარალო იყო, რომ ერის კულტურული წარმატება თითქოს შეფერხდა და ეკონომიური განვითარება მოდუნდა.

ალსანიშნავია ის ისტორიული ფაქტი, რომ თვით საქართველომ თავისი შინაური ძალებით ვერ შესძლო ფეოდალური პარტიკულიარიზმის ძლევა და ერის პოლიტიკური გაერთიანება. მიუხედავად იმისა, რომ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მრავალ საუკეთესო მამულიშვილთა სამოღვაწეო პროგრამას შეადგენდა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და მისი მთლიანი სახელმწიფოებრივობის აღდგენა, ობიექტიურად თვით ერის წიაღში არ მომზადდა ამისათვის ნიადაგი, არ დაიმსხვრა რეალურად ის მიზეზები, რომელნიც ხელს უშლიდენ საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის აღდგენას. აქაც მის გამაერთიანებელ ძალად გარეშე სახელმწიფო გამოვიდა, რომელმაც გარკვეული აგრესიული მიზნით სავსებით მოსპო ჩვენში პოლიტიკური ფეოდალიზმის ნაშთები, წაართვა ცალკე სამთავროებს დამოუკიდებელი პოლიტიკური არსებობის ყოველგვარი შესაძლებლობა და ამით ობიექტიურად შექმნა ნიადაგი საქართველოს გაერთიანებისათვის ალსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართველმა ერმა პოლიტიკური თვით არსებობის დაკარგვით შესძლო თავისი ეროვნული მთლიანობის აღდგენა. და სწორედ ამ მომენტიდან ჩაეყარა საფუძველი ჩვენში გარკვეული შინაარსის ეროვნულ მოძრაობას, რომელიც თაობიდან თაობას გადმოეცა და ბოლოს თავის კულმინაციურ წერტილს მიაღწია დიდი რევოლიუციის წყალობით.

ისტორიულად შექმნილ გარკვეულ კონკრეტიულ პირობებით თუ მიუდგებით, რუსეთის შემოსვლა საქართველოში სასარგებლო დარჩა უკანასკნელისათვის. როგორც აღნიშნული გვქონდა, საქართველო მუსლიმანურ რკალში იყო მომწყვდეული და მეტად საგრძნობლად განიცდიდა მისი აგრესიული პოლიტიკის შედეგებს. ამავ დროს ამ მუსლიმანურ ძალას დაუპირისპირდა მეორე იმპერიალისტური სახელმწიფო (რუსეთი) და საქართველოც ორ საერთაშორისო ძალთა ჭიდილს შუა მოყვა.

მისი რეალური ინტერესი მოითხოვდა ამ ორ ძალაში ეირჩია ის, რომელიც ნაკლებ ბოროტებს მოუტანდა მას და ასე თუ ისე შესაძლებლობას მისცემდა არსებობისათვის. საქართველომ რუსეთის სახელმწიფო აირჩია და თავისი ბედი მოსკოვის მპყრობელთა ბედს შეუწონა. ამ ორიენტაციის არჩევის დროს გადამჭრელი როლი ითამაშა რელიგიურმა მომენტმა: ქართველ-ოსმალოთა შეტაკებაში ერთი-მეორეს უპირისპირდებოდა არა მარტო ორი სხვა და სხვა ეროვნება, არამედ ორი სხვა და სხვა კულტურაც: ქრისტიანული და მუსლიმანური.*) [Ბი]ზანტიური კულტურის ზეგავლენამ ქართველი ხალხი ქრისტიანული მოძღვრების გზაზე დააყენა და აღმოსავლეთის შესასვლელ კარებთან ჯვარით ხელში დაუპირისპირა მუსლიმანურ კულტურას.

დიდი კულტურული უპირატესობის გამო ირანის მუსლიმანურ კულტურის გავლენასაც ვერ გაექცა ჩვენი ხალხი. მაგრამ მისი გავლენის შეთვისება ხდებოდა ა. წ. ნაციონალური ასიმილიაციის გზით და არა ბრა გადმოღებით.

სანამ ბიზანტია ებრძოდა მუსლიმანურ ქვეყნებს, საქართველოს გულის ყური მიპყრობილი იყო მისკენ; ბიზანტიის დაცემის შემდეგ საქართველოს ინტერესების საზომი ერთმორწმუნე დიდმა რუსეთმა დაიჭირა და საქართველოს ორიენტაცია მისკენ იქმნა გადახრილი.

ორთავიანი რუსეთი ჩვენში არ შემოსულა იმ მიზნით, რომ ჩვენი ერი გადაერჩინა მუსლიმანურ ზღვაში გათქვეფისაგან და შეექმნა ჩვენი აღორძინების გარანტიები. მართალია, ჩვენი მე-XVIII საუკუნის პოლიტიკური მოღვაწენი, და მათ შორის ერეკლე მეორეც, დარწმუნებულნი ბრძანდებოდნენ, რომ რუსეთის მონარქიზმის ფარგლებში დაიცავდენ საქართველოს სახელმწიფოებრივობასა და პოლიტიკურ არსებობას, მაგრამ ასეთი მიდგომა ისტორიული მომენტისადმი, სულ რბილად რომ ვსთქვათ, პოლიტიკური გულუბრყვილობა იყო. რუსეთის სახელმწიფო ამიერ-კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთისაკენ გარკვეული იმპერიალისტური გეგმებით წამოვიდა და მას არც ერთი ერის ბედი არ აინტერესებდა.

ამიტომ სულ ადვილი ასახსნელი არის ის აგრესიული პოლიტიკა, რომელსაც დაადგა საქართველოში რუსეთის მთავრობა: მან მოსპო საქართველოს პოლიტიკური არსებობა და ქართველი ე[რი] ...

*) იხ. „ტრიბუნა“ № 532, 533, 535, 537, 539, 541.

*) იხ. არ. ჯორჯაძის წერილი: „ვის ვირჩევთ“, „სახალხო გაზეთი“ № 692, 1911 წ. 5 სექტემბერი.

*) ეს მომენტები საუცხოვოდ აღნიშნა თავის წერილებში არ. ჯორჯაძემ.

**ხ. დ.**

2. რამდენჯერ უნდა მოვწველოთ ძროხა დღეში?

ხბოს რომ მოიგებს ძროხა, უმჯობესია გამოვწველოთ დღეში ოთხჯერ ერთი კვირის განმავლობაში.

ორი კვირის შემდეგ უნდა ვწველოთ სამჯერ, ვიდრე ძროხა არ იკლებს წველას.

როცა რძის კლებას იწყებს ისევ ორჯერ უნდა ვწველოთ დღეში.

გამოწველა უნდა ხდებოდეს განსაზღვრულ დროს.

მოწველიდან შემდეგ მოწველამდე ერთი და იგივე დრო უნდა გავიდეს.

3. რა წესით სჯობია ძროხის მოწველა. საუკეთესო წესათ ითვლება ჰოლანდიური: ძუძუს მოიმწყვდევთ მუჭაში, რაც შეიძლება ძირიდან და მოუჭერთ თითებს რიგზე მაჩვენებელ თითიდან ნეკით.

რძე წამოვა ძლიერი ნაკადით. შემდეგ მუჭას გაშლით (მოადუნებთ) და ისევ მოუჭერთ იმავე რიგზე თითებით.

გამოცდილი მწველავი ამას ისეთის სისწრაფით აწარმოებს, რომ რძის ნაკადი არ შეწყდება.

რაც ჩქარა გამოიწველება ძროხა, ისა სჯობია,

იწველება ძროხა ორივე ხელით ერთსა და იმავე დროს.

მწველავმა ერთი ხელი უნდა წინა მარჯვენა ძუძუს წაავლოს, მეორე—უკანა მარცხენას; შემდეგ —წინა მარცხენას და უკანა მარჯვენას ე. ი. ძუძუების წველა ხდება ჯვარედინათ.

ძუძუების რძით ან წყლით დასველება არაა საჭირო. ძუძუებს ხელი უნდა მოეჭიდოს მაგრად, მაგრამ არც ძალიან უხეშათ.

4. რას უნდა მიაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება წველის დროს.

ისე უნდა გამოიწველოს ძროხა, რომ ცურში არაფერი დარჩეს ასეთი წველა ძროხას შეჰმატებს რძეს.

რძის დატოვება ცურში ხბოსთვის, როგორც ჩვენში ბევრგან იციან, არაა კარგი.

უკანასკნელი გამონაწველი ყოველთვის მსუქანია და სწორეთ ეს მსუქანი საუკეთესო რძე იკარგება, რომელიც ხბოს ამავე დროს კუჭ-ნაწლავებსაც აუშლის.

უკანასკნელი გამონაწველი ცურის ზედა ნაწილშია და ცურის დაზელვა აადვილებს მის გამოწველას.

როცა წველა მოთავდება, კარგია დაზელვა ცურისა ორივე მხრით. მსუქანი რძე ამის შემდეგ უკეთ გამოიწველება.

წველას როცა მოათავებთ, ცურს მოუწმენდავთ, მოუმშრალებთ, და წაჰცხებთ ძუძუებზე ვაზელინს ან უმარილო ქონს.

5. როდის შევწყვიტოთ ძროხის წველა.

ხბოს მოგებამდე თვენახევრის წინ უნდა შევწყვიტოთ ძროხის წველა. შეწყვეტა ერთბაშად არ ხდება, არამედ თანდათანობით.

სამ-ჯერი წველიდან გადახვალთ ორ ჯერ წველაზე, შემდეგ დღეში ერთ-ჯერ წველაზე, შემდეგ დღე გამოშვებით და ასე ნელ-ნელა გადაეჩვევა ძროხა წველას.

ხბოს მოგებამდე თუ გააგძელეთ ძროხის წველა და გარდა ამისა შემდეგ მეწველობის ხანაში ასეთი ძროხა იკლებს წველას.

ზოგიერთ ძროხებს ჩვეულებათ აქვთ თავიანთ ძუძუს გამოწოვა.

ამ შემთხვევაში ძროხას შემოაკარით გულმკერდზე ქამარი და მიაბით გვერდიდან ჯოხი: ერთი წვერი მიუბით ქამარზე, მეორე—ავშარაზე.

**(მიწის მუშა).**

# მუშათა მთლიან კოოპერატივის საყურადღეგოთ.

ამ ბოლო ხანებში ბაზარში გამომცხვარი პური და ფქვილი ყოველ დღე მატულობს ფასს და მოკლე მომავალში, ვინაიდგან დგება შემოდგომა-ზამთარი, პურის და ფქვილის ფასი საზღაპრო და საისტორიო შეიქნება.

ბაზრის ასეთი მდგომარეობა, ფასის ზრდით, აიხსნება ვაჭრების ალვირ-ახსნილობით და თავგასულობით, რასაც ჯეროვანი ყურადღება მიექცევა მაღლიდგანვე.

დღეს კი ვიმედოვნებთ, რომ მუშათა კოოპერატივს, რომელსაც დავალებული და დასახული აქვს გაუწიოს კონკურენცია ბაზარს და უმეტესად უზრუნველ ჰყოს მუშა-მოსამსახურეთა კალასი ყოველივე პირველ მოთხოვნილების საჭიროებითი საგნებით და უმეტესად პურით, რომელმაც დღემდე გამოიჩინა დიდი ენერგია იაფ-ფასიანი პურის მიწოდებით: აიყვანა გამომცხვარ პურის რაოდენობა ათას ფუთამდე დღეში და მშვენიერი თეთრი პური იყიდება ყველა სავაჭროებში მუშა-მოსამსახურეზედ ორმოცდა ათი პროც. იაფად შედარებით ბაზრისა.

ბაზარზედ პურის და ფქვილის სიძვირემ შეჰქმნა ის კუდები, რომელსაც ჩვენ დღეს ვხედავთ და მოწმენი ვართ, რომ გათენებიდგან დგება რიგები ასობით მთლიან მუშათა კოოპერატივებთან იაფი პურის მისაღებად და უხდებათ გაჩერება შუადღემდე. და დაკმაყოფილებულნი იქნებიან ყველანი თუ არა, უმეტესად რიგში ბოლოს დგომნი, ხდება საათუო და მართლაც ბევრი რამოდენიმე საათის დგომის დაკარგვით, დაღალული ოჯახური საქმითაც მომცდარი, უკმაყოფილო ბრუნდება სახლში.

მუშათა კოოპერატივი, რომელიც არის დღეს მუშა-მოსამსახურეთა მასაზრდოებელი, შესძლებს და მიიღებს ყოველივე საჩქარო ღონისძიებას პურის გამოცხობის რაოდენობის გადიდება ორ-სამჯერ, რასაც იგი აცხობს დღეს, რომ ყველა წევრი იყვეს დაკმაყოფილებული და უნდა იქნას ისეთი აპპარატი, რომ [illegible] დებს.

**ვლ. მჭვარიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პატარა ფელეტონი

**ტ ფ ი ლ ი ს შ ი**

წელს დავრჩი ტფილისში:
არ მქონდა ფულები;
ვერ წაველ „სადაჩოთ“,—
დამაჩნდა წყლულები.

სიცხისგან მიჩნდება
ჰკუისაც ანთება.
არ ვიცი, რას ვიზამ,
რა დამემართება...

დავდივარ ქუჩებში,
ოფლი მდის წურწურით;
მკერდ შიშველ ქალებს კი
შევყურებ მე შურით.

ლაღიძის დუქნის წინ
ვესობი, ვით სვეტი
და სხვები რომ წყალს სვამენ,
ნერწყვი მდის წვეთ-წვეთი.

რუსთაველის პროსპექტის
ვარ ხშირი სტუმარი. -
იქ მხვდება თინათინ,
ნუცა და თამარი.

დავდივარ ქუჩებში
ოფლი მდის წურწურით.
მიშველეთ, ნუ მომკლავთ
ამ ქალების შურით...

**გრ. შავიშვილი.**

# ჩვენი სკოლა

**შრომის სკოლის მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები ქუთაისში.**

თანახმად საქართველოს ს. ს. რ. განათლების კომისარის დადგენილებისა ქუთაისის მაზრის განათლების განყოფილების გამგის ინიციატივით ქუთაისშიაც გაიხსნა მასწავლებელთა კურსები, სადაც დაწყებულ იქნა მუშაობა 15 ივლისიდან. კურსები და ბინა პროვინციებიდან მოწვეულ მასწავლებელთათვის მოეწყო საბჭოთა პირველ შრომის სკოლაში, (ყოფილი რეალური სასწავლებლის შენობა). გამოწვეულ მსმენელთა რიცხვი ასამდი ადის, თავისუფალი მსმენელები კი 200-მდე არიან. აუდიტორია გამართულია ორ დარბაზში. ერთში სასკოლო ჰასაკამდი აღზრდის მასწავლებელთათვის იკითხება ლექციები, მეორეში კი შრომის სკოლების მასწავლებელთათვის. დღეში იკითხება 6 ლექცია; იწყება დილის 8 საათზე, თავდება ნაშუადღევის 1 საათზე.

კურსების ხელმძღვანელად დანიშნულია პირველი შრომის სკოლის გამგე ივ. გაჩეჩილაძე. ლექტორებად მოწვეულნი არიან: 1) საბჭოთა აღმშენებლობაში—ამ. ურუშაძე, 2) პოლიტიკურ ეკონომიაში—გრ. კვიცარიძე, 3) ფსიქოლოგიაში—გ. დევდარიანი, 4) ზოგად პედაგოგიკაში და პედოლოგიაში—ვ. კანდელაკი, 5) ფრებელის სისტემის გაცნობაში—პ. არაჩებია, 6) მონტესორის სისტემაში—ა. ქავთარაძისა, 7) ესტეტიურ აღზრდაში—ტ. ჯაფარიძე, 8) თანამედროვე საბავშო ბაღის თეორიასა და პრაქტიკაში—აგ. ბახტაძის ასული, 9) მოძრავი თამაშობის გაცნობაში—მ. გორგაძე, 10) საბავშო ბაღის ბუნებაში—თ. მაჭავარიანის ასული, 11) მუსიკა-გალობაში—ლ. წერეთელი, 12) ხელგარჯილობაში—ი. გელაზანია, 13) საბავშო ლიტერატურაში—ქს. იოსელიანის ასული, 14) ამერიკული სისტემით წერა-კითხვის სწავლებაში—ქ. ფხაკაძე, 15) დასავლეთისა და რუსეთის მუშათა მოძრაობაში—თ. ჭუმბურიძე, 16) შრომის სკოლის შესახებ სწავლებაში—ივ. გაჩეჩილაძე, 17) ქართული ენის დაწყებით მეთოდიკასა და სანიმუშო გაკვეთილების ვარჯიშობაში—ვლ. ნაცვლიშვილი, 18) მათემატიკაში—ლ. ხმალაძე, 19) ფიზიკაში—ამ.

---

დენაციონალიზაციის გზას დაადგა. თუ ობიექტიურად, ერთის მხრით, რუსეთის დამყარებამ საქართველოში სარგებლობა მოიტანა იმ მხრივ, რომ მოსპო ფეოდალური დანაწილება და მუსლიმანური საფრთხე ააშორა, მეორეს მხრით, ეს აქტი სლავიანურ ოკეანეში აპირებდა ქართველი ერის გათქვეფას. ასეთს პირობებში ბუნებრივად დაიბადა ერში მისწრაფება რუსეთის აგრესიული პოლიტიკის წინაალმდეგ დაპირისპირებისა და თავისი ეროვნული კულტურისა და ეროვნული არსებობის შენარჩუნებისა. ამ ორ ფაქტორის შეტაკებათა პროცესში ჩაისახა, განვითარდა და მომწიფდა საქართველოს პოლიტიკური აზროვნება და მისი შინაარსი.

ჩვენში იყვნენ პუბლიცისტები და პარტიები, რომელნიც უარყოფდნენ მე-XIX-ე საუკუნეში ხალხურ-ნაციონალურ მოძრაობის ფაქტს. ისინი, ეროვნული ნიჰილიზმით შეპყრობილნი, აშკარად უარყოფდნენ იმ ისტორიულ სინამდვილეს, რომ ქართველმა ხალხმა მე-XIX-ე საუკუნეში რამდენიმე საყურადღებო მოძრაობა მოახდინა ეროვნულს ნიადაგზე, რომ მშრომელი ხალხი, უკმაყოფილო იყო რუსეთის მთავრობის ჩვენი ერისადმი მოპყრობით. ისინი უარყოფდენ ამ ისტორიულ ფაქტებს, რომ დაემტკიცებინათ ქართველი ხალხის „ინტერნაციონალისტობა“, რომელიც ფაქტიურად რუსეთის ბიუროკრატიულ მთავრობის წინაშე ქედის მოხრას უფრო გავდა. რომ ამით უარეყოთ ავტონომიის საჭიროება ქართველი ხალხისათვის უფრო მეტი, ისინი რუსეთის მთავრობასა და ქართველების შორის საუკეთესო დამოკიდებულებას ხედავდენ. და ამას იცავდენ მაშინ ის პუბლიცისტები, რომელნიც დღეს საქართველოს სრული დამოუკიდებლობისა და რუსეთის მშრომელ ხალხთან კავშირის გაწყვეტის პოლიტიკით გამოდიან.

დღეს ზედმეტი არ იქნება ამ პუბლიცისტებს გაკვრით მაინც მოვაგონოთ მცირე ოდენი ცნობები მათი ახლო წარსულის პოლიტიკიდან. ამბობენ დაწერილს ნაჯახითაც ვერ ამოჭრიო და მათდა საუბედუროდ ჯერ კიდევ ინახება. თეთრზე შავად აღბეჭდილი დღევანდელი „ეროვნული სარდლების“ ნააზრევი.

ერთი იმ პუბლიცისტთაგანი, რომლის კალამი და პოლიტიკური მოღვაწეობა დაუზოგველად ეწინაალმდეგებოდა საქართველოს სახელმწიფოებრივობის აღდგენის პროგრამასა და ავრცელებდა ეროვნულ ნიჰილიზმის აზროვნებას, თვით ნ. ჟორდანია 1908 წ. გამოცემულ თავის წიგნაკში: „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“, რომელშიაც იგი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ქართველ ხალხში არ არის და არც ყოფილა ნაციონალური იდეაო, სხვათა შორის სწერდა: „მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა—ნაციონალური მოძრაობა არა ერთხელ ყოფილა, მაგრამ ყოველთვის ეს იყო მოძრაობა ან თავად-აზნაურობის, ან ინტელიგენციის, **არასოდეს ხალხის.** კახეთის არეულობა გასულის დასაწყისში, შეთქმულობა მეოცდაათე წლებში (დოდაევი და სხვ.) იყო საქმე თავად-აზნაურობის და მისი მაშინდელი განათლებული შვილების... მისი (ინტელიგენციის) ნაციონალური დროშა ხალხმა ერთი დაკვრით უარყო და მის ალაგას ააფრიალა ინტერნაციონალური დროშა“ (იხ. ნ. ჟორდანია: „რჩეული ნაწერები“ გვ. 555—6). ასეთი აზრებისათვის ბ. ნ. ჟორდანიას თავის დროზე უწყალოდ ტყავი გააძრვეს და ფაქტებით ხელში დაუმტკიცეს, რომ მე-19-ე საუკუნის პირველ ნახევრის მოძრაობაში სწორედ ხალხი გამოდიოდა ნაციონალური დროშით. აღსანიშნავია სწორედ ის, რომ ბ. ნ. ჟორდანიას „ინტერნაციონალური დროშა“ ყოველგვარ ნაციონალურ პოლიტიკის უარმყოფელად ჰქონდა წარმოდგენილი. მაგრამ ის კიდევ არაფერია, რომ ნაციონალურ შეგნებას ვერ ხედავდა ქართველ ხალხში და უარყოფდა ამ ნიადაგზე წარმოშობილ მოძრაობას, იგი „სახელმწიფოსა და ერს შორის საუკეთესო დამოკიდებულებას“ ხედავს ჩამოგდებულს. რამდენიმე წლის შემდეგ ჟორდანია სწერდა აღნიშნულ საკითხის შესახებ:

„მესამოცე წლებში რუსები სცვლიან პოლიტიკას, გლეხობას მფარველობას უწევენ მებატონეთა თავგასულობისაგან, გლეხობა მთავრობას შეჰყურებდა, როგორც მოსარჩლესა და დამცველს, სახელმწიფოსა და ერს შორის საუკეთესო დამოკიდებულება ჩამოვარდა. მესამოცე წლებში იწყება რუსეთის ეგრედ წოდებული დიდი რეფორმები. ახალი სასამართლო, ახალი ცხოვრება და ახალი სასოფლო მართველობა შემოვიდა. სახელმწიფო დაუახლოვდა ხალხს, მთელს ერს. წინედ ისინი ძლიერ შორს იყვნენ ერთი მეორესაგან. ეხლა კი იცვლება გარემოება. სახელმწიფო ხალხს დაუახლოვდა“. („ვანთიადი“ № 19. კურსივი ჩემია *).

სრულიად სამართლიანად შენიშნავს ნ. ჟორდანიას შრომიდან ამ ამონაწერის შესახებ ამხ. თ. ღლონტი: „მთავრობის როლი ასე არ შეუქია ხელწიფის არც ერთ მონას, არც ვ.-დაშკოვს, არც გალიცინს, არც არავის! და ასეთი ყოვლად დაუსაბუთებალი ზღაპარი რუსეთის სახელმწიფოს როლის შესახებ მესამოცე წლებში ეკუთვნის დასელების ცნობილ ბელადს—ბ. ნოე ჟორდანიას“. (იქვე).

კითხვა იბადება: რად დასჭირდათ ისტორიული ფაქტების ასეთი გადამახინჯება და ფალსიფიკაცია? რა ძირითადი მიზნები ალაპარაკებდა ბ. ნ. ჟორდანიას რუსეთის ცარიზმის სასარგებლოდ? ამხ. ღლონტი ამაზედაც გარკვეულ პასუხს იძლევა:

„მხოლოდ იმისათვის, რომ დაემტკიცებინა ეროვნულ მოძრაობის უსუსურობა საქართველოში, რომ დაესაბუთებია, რომ ხალხის გულში მთავრობამ ჩანერგა სიყვარული და სწორედ ეს არის საფუძველი, რომ შეუძლებელი გახდა ქართველ ხალხის ეროვნულ ნიადაგზე ამოძრავება“ (იქვე).

მაგრამ, როგორც ვიცით, ისტორიული ცხოვრების ვითარებამ ჩვენი მენშევიკების პროგნოზი არ გაამართლა და ისტორიული ფაქტების ფალსიფიკატორები და „ეროვნული ნიჰილიზმის“ იდეოლოგები სასტიკად დამარცხდენ: ქართველმა ხალხმა საკმაო ენერგია და ეროვნული შეგნება გამოიჩინა და საჭირო მომენტში ორივე ფეხებით თავის ნაციონალურს ნიადაგზე დასდგა. ეს გარემოება ნათლად ამოწმებს იმას, რომ ჩვენი მშრომელი ხალხის სიღრმეში ღრმად იყო შეზრდილი ეროვნული ტკივილების შეგნება და მისმა პოტენციალურმა ენერგიამ ფართოდ ამოხეთქა, როდესაც ეს პირობებმა მოითხოვა. ესევე გარემოება ამტკიცებს იმას, რომ მხოლოდ ინტელიგენცია, ხალხის შეგნებასა და პირობების ცოდნას მოკლებული, ხალხისავე დაუკითხავად ახდენდა მისი ეროვნული მისწრაფებების ფალსიფიკაციას. დღეს ნ. ჟორდანიას პარტიამ ფერი შეიცვალა. მან არა მარტო თავისი ეროვნული პოლიტიკა გამოიცვალა ობიექტიურ პირობების ძალდატანებით, არამედ თავისი ძველი კონცეპციაც ქართველი ერის ნაციონალური განვითარების შესახებ.

მიუხედავად მათი ასეთი ტრანსფორმაციისა და ეროვნულ ნიადაგზე დადგომისა, თანამედროვე ვითარებაშიაც მათი დღევანდელი პოლიტიკა მიუღებელი ხდება და ფაქტიურად ჩვენი ერის წინაალმდეგ არის მიმართული.

ჩვენი ხალხის ეროვნული კრედოს, ალფასა და ომეგას შეადგენს დაცვა თავისი ეროვნული არსებობისა, შექმნა ობიექტიური პირობების ეროვნული კულტურის აყვავებისა და გაფურჩქვნისათვის, და მასთანვე მტკიცე და შეურყეველი კავშირის გაბმა ყველა ერებთან და მშრომელ მასებთან. ეს მისწრაფება საუკუნეთა განმავლობაში იზრდებოდა და იფურჩქნებოდა ჩვენი ხალხის შემეცნებაში.

შესაძლებელი არის ამ ჩვენი უმთავრესი მიზნების მიღწევა თანამედროვე კაპიტალისტურ მეურნეობის ნიადაგზე; თანამედროვე იმპერიალიზმის ბატონობის ხანაში განა შესაძლებელი არის უზრუნველყოფა ერის წარმატებისა?

ვინც გაითვალისწინა იმპერიალიზმისა და კაპიტალიზმის ტენდენციები და ის სოციალ-პოლიტიკური პირობები, რომელიც შექმნა ამ მეურნეობამ მთელ მსოფლიოში ჩამორჩენილ, განუვითარებელსა და წვრილ ერებისათვის, მისთვის ნათელი გახდება, რომ კაპიტალიზმის გზით ჩვენი ერი ვერ ეღირსება წარმატებასა და თავისი არსებობის უზრუნველყოფას. თანამედროვე იმპერიალიზმმა მრავალ წვრილ ერს მოუსპო არსებობის შესაძლებლობა და სისხლის მორევში ჩაახრჩო მისი საუკეთესო შვილები.

ჩვენ უნდა გამოვნახოთ სულ სხვა გზა ჩვენი ერის არსებობის უზრუნველსაყოფად. ასეთი გზა უკვე არსებობს, მხოლოდ საჭიროა მასთან ერის წინმსვლელობის ფორმების მიზანშეწონილი შეფარდება.

სრულიად მართალი იყო არჩილ ჯორჯაძე, რომელიც ამბობდა: „ერი უძლურდება და კვდება არა ბიოლოგიური კანონის ძალით, არამედ სოციალპოლიტიკური ორგანიზაციის უვარგისობის გამო. ორგანიზაცია ერის ძალებისა არის უტყუარი ფარხმალი და გარანტია მისი არსებობა-განვითარებისა“ (იხ. არჩილ ჯორჯაძე წიგნი მეორე—გვ. 247). ამ დებულების მიხედვით ჩვენი მიზანი უნდა იყოს ისეთი სოციალ-პოლიტიკური ორგანიზაციების გამონახვა, რომელიც უზრუნველყოფს ერის არსებობას და მის წარმატებას.

ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების და თავგადასავალის გათვალისწინების შემდეგ არ. ჯორჯაძე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ქართველმა ერმა დემოკრატიულ საფუძვლებზე უნდა მოაწყოს თავისი სოციალური და ეროვნული ორგანიზაციები. ჩვენ დღეს იმავ მიდგომითა და იმავე საზომით სულ სხვა ფორმულას უძებნით ქართველი ერის სოციალურ და ეროვნულ ორგანიზაციებს, ვინემ ეს მოგვცა არ. ჯორჯაძემ. დემოკრატიული წყობილება ვერ სპობს „უვარგის სოციალურ საფუძვლებს“, ვერ სჭრის დადებითად ერის არსებობის ქვაკუთხედს და ერში არსებულ კლასთა წინაალმდეგობას უმწვერვალესობამდე აძლიერებს. ძველი წყობილება კვლავ რჩება ცოცხალი მთელი თავისი შინაარსით დემოკრატიულ ბატონობის დროსაც, და ამიტომ „ძლიერ შეაფერხებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურსა და კულტურულს განვითარებას“.

დემოკრატიული წყობილება პრაქტიკული ფილოსოფიაა კაპიტალისტური მეურნეობისა და მისი განმტკიცებისათვის. მაშინდელ პირობებში არ. ჯორჯაძე კაპიტალიზმის განმტკიცებას საქართველოში „პრაქტიკულ მოქმედების“ გეგმად სახავდა. 1910 წ. მან თავისი პროგრამა შემდეგ ნაირად დაახასიათა: „თუ ამ პირობების მიხედვით სოციალური პროგრამის ერთ მხარეს ძველი ეკონომიური სტრუქტურის ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრა შეადგენს, თუ კაპიტალიზმი საზოგადოდ მოსპობს ფეოდალურ წყობილების ნაშთებს, ნუღარ შეუშინდებით ახალ ფორმებს ეკონომიური მოქმედებისას და საქმიანობა დავსახოთ პრაქტიკულ გამარჯვების გეგმად. კაპიტალიზმის საჭიროების განვითარება არ ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა შეურიგდეთ შრომასა და კაპიტალს შუა არსებულ წინაალმდეგობას. ამ წინაალმდეგობას არ ვურიგდებით და არასდროს არ უნდა შეურიგდეთ. და აქ არის განსხვავება ჩვენსა და მათ შორის, ვინც შრომის ექსპლოატაციას არ ხედავს და სოციალურ წინაალმდეგობას ხელს ჰფარავს. ხოლო თუ კაპიტალიზმი საშუალებას გვაძლევს დიდ ბოროტებასთან ბრძოლაში, თუ იგი საუკეთესო გზაა ქვეყნის გადემოკრატებისათვის, და მით ჩვენი ეროვნების გამაგრებისათვის, დავაფასოთ მისი ის-

---

*) ციტატა ამოღებულია ამხ. თ. ღლონტის წიგნიდან: „ავტონომია და ფედერაცია“ გვ. 124.

სვანაძე, 20) ბუნების მეტყველებაში—ან. სულამანიძე, 21) გეოგრაფიაში—ნ. ჯაფარიძე, 22) პედაგოგიურ იდეათა ისტორიაში—ნ. ნუცუბიძე, 23) საქართველოს ეკონომიურ გეოგრაფიაში—ი. რუხაძე, 24) სტატისტიკაში—ამხ. კალესნიკოვი, 25) სასკოლო ჰიგიენაში—ი. მებურიშვილი, 26) ზოგად დიდაქტიკაში—ნ. ქუთათელაძე, 27) შრომის სკოლის თვითმართველობაში—ნ. მისაბიშვილი.

კურსებზე მუშაობა ხალისით მიდის. დამთავრდება პირველ სექტემბერს.

ლადო ბზვანელი.

# პროვინციაში

**სოფ. ბოსლევი.** (შორაპნის მაზრა). ვინ არ იცის, რომ საქართველო სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა. ამ მხრივ იგი სრულებითაც არ წააგავს ინგლისსა და იაპონიას. მეურნეობით უდგას სული ჩვენს ერს; მხოლოდ მეურნეობით შეიძლება ჩვენის ერის ფეხზე წამოყენება, რასაკვირველია, ეკონომიურის მხრივ.

ეკონომიურად წელში გამაგრებას ხომ დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანისა და ერის ცხოვრებაში ყველა ამაზე ლაპარაკი გრძლად საჭირო არ არის, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ მეტად დიდი უმრავლესობა, საქართველოს უმეტეს სამი მეოთხედისა, სოფლელი გლეხია და ერთად ერთი სახსარი ქართველი გლეხის მიწაა, რომელიც თხოულობს დღეს ჩვენგნივ გონივრულად დამუშავებას და ეს კი ჩვენი მიწის მუშისათვის შეუძლებელია მისი უვიცობისა გამო.

ამ მის ყოვლად დამღუპველ უვიცობას დღეს ჩვენი გლეხიც კი ხვდება, და ამიტომ იყო კიდეც რომ ამ 3—4 წლის წინეთ მან მოინდომა გაეხსნა სადგურ ბოსლევთან, სწორედ თვით მაზრის ცენტრში, სამეურნეო სკოლა პროფესიონალური განყოფილებებით, რისთვისაც მან ერთ თავის კოოპერატიულ „გამარჯვება ძმობას“ საზოგადო კრებაზე ერთხმივ დაადგინა—მოიპოვოს სადგურთან სკოლისათვის ახალი ქვის შენობა და მოსთხოვოს მთავრობას აქ სამეურნეო სკოლის გახსნა, რისთვისაც ყოფილი აზნაურიშვილები აბაშიძეები, ვალ. და ნიკო წერეთლები სიამოვნებით სთმობდენ სადგურის ახლო-მახლო მდებარე ადგილებს, უმეტეს 4 დესეტინისას.

სოფლის ადგილობრივმა ინტელიგენციამ მაშინ თითქო მხურვალე გულით შეუდგა ამ საქმეს და მაშინვე დაადგინეს—დაეყოთ თავიანთ შორის საქმე ახალი ქვის შენობის ასაგებათ, რისთვისაც იგი, ინტელიგენცია, ჯგუფებად დაიყო. ზოგი ჯგუფი აგურის დამზადებას გვპირდებოდა ზოგი კირისას, ზოგიც ტყის მასალის დამზადებას და ზოგიც კრამიტისას, ზოგს მათგანს საღამოების და სპექტაკლების გამართვაც ევალებოდა. მაგრამ გავიდა 3—4 წელი, ჯგუფებს რაღაც შავმა კატამ გაურბინა შუაში და მთლად მიივიწყეს ეს თავის ნებით ნაკისრი წმინდა საქმის მოგვარება.

დღეს სოფელს მოევლინა გარეშე ინტელიგენცია ინჟინრებისა და ტეხნიკების სახით, შარშანდელი წყალდიდობის გამო ჭიათურის დაქცეულ რკინის გზის ალსადგენათ. ხალხში ამ რკინის გზის განახლებამ დიდძალი ფული დაატრიალა. ამ გარემოებამ და მეტად კი ახლად მოსულმა ინტელიგენციამ სოფელს ისევ მოაგონა მიტოვებული საშვილიშვილო საქმე, და ამ დღეებში სტუმარ-ინტელიგენციის დახმარებით დადგმულ იქმნა ამ დიადი საქმისათვის სადგურზე ვახშმით „პატარა კახი“, რომელზედაც მოწვეული იყო უფასოდ (მხოლოდ რეჟისორს ამხ. ავტალიძის გადაუხადეს 10 მილიონი) ჭიათურის სცენის მოყვარენი. საღამოზე დამსწრეთ ატკბობდა სანდრო კავსაძე თავისი ტკბილი დამღერებით გიტარაზე და მაღლობ სერიდგან თავის განთქმულის „ურმულის“ შემოძახით. წარმოდგენა დამთავრდა ზურნაზე ლეკურის თამაშით, რომლისთვისაც ჯილდო იყო დანიშნული. ჯილდო მიიღო თავის „ცელქიან“ „მარდიან და „ჭკვიანი“ ფეხებისათვის ახალგაზდა ყმაწვილმა ალიოშა აბაშიძემ.

საღამომ დატოვა უმეტეს ორასი მილიონისა, რაც მაშინვე ახლად შემდგარ საამშენებლო კომისიის მიერ იყო გადაცემული აგურის დამმზადებელ მუშებზე.

ურმეს მადლობას უცხადებს კომისია და მთელი საზოგადოება ინჟ. ვალოდია წერეთელს, რომელმაც არ დაიშურა ამ დიადი საქმისთვის 50 მილიონის შემოწირვა ტელეგრაფით (ფულის გადმოცემას კომისიაზე ამ დღეებში გვპირდება).

არ შეიძლება ჩვენი გულითადი მადლობა არ გამოუცხადოთ აგრეთვე სტუმარ-ინჟინერ აპ. სერგ ჩერეპანოვს, რომელმაც 10 მილიონი გადმოგვცა მაშინვე და გარდა ამისა სცენის მოსაწყობათ დაგვითმო შპალები, ფიცრები და თავათ საღამოს სადგურის ფარანი მთელ ღამეს გაზის განათებით. ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს საღამოს აგრეთვე მოსულმა ტეხნიკებმა გრ. გაბაშვილმა, ნ. ფცქიალაძემ, დიასახლისმა ელენა საყვარელიძისამ ოჯახობით, ელ. ჭუმბურიძისამ, დაშა და ბაბო აბაშიძეებმა, ან. სარალიძემ, სვ. ტყემალაძემ, ახალგაზდა დურგალმა სინეულიძემ და ბაგ. ცირეკიძემ, რომლებიც თავგამოდებით და ერთსულოვნად შრომობდენ საღამოს მოსაგვარებლად მეტადრე ტეხნ. გაბაშვილი, რომელიც მთლად გაწუწული იყო ოფლისაგან შპალებისა და ფიცრების ზიდვით სცენის მოსაწყობად. მადლობის ღირსია ინიციატორი ამ საღამოსი ვალ. კაპანაძეც.

რომ იტყვიან ოჯახი უმახინჯოთ არ იქნებაო სწორედ ისე შეიქნა აქაც: აღმოჩნდნენ საუბედუროთ ზოგიერთა ისეთი მოიტელიგენტო პირი, რომელიც ამ საღამოსაც თურმე ისე უყურებდა, როგორც თავის გასართობს და საპირადო ჩამოსარჩომ რამეს, და ანგარიშებს დაუწყეს ბანდვა, თუმცა ვერაფერს გახდენ კი. იმედია ასეთი „ინტელიგენტებს“ ჭეშმარიტი ინტელიგენტი ალაგმავს და სამარცხვინო ბოძზე გააკრავს, რომ შემდეგში ველარ გაბედოს რამე ამის მსგავსი.

ვფიქრობთ დროებით შემოხიზნულ ინტელიგენციის ასეთი თავდადებითი შრომა გარე სოფელში გამოაფხიზლებს შინაურს ინტელიგენციას და ამ უკვე გამოწყობილ საქმეს მოუთავებელს აღარ დატოვებს, რაც არ უნდა დაუჯდეს იგი მას.

მალე აპირებენ ... დადგმას რომ კირის დასაწვავი საშუალება მოიპოვონ და, იმედია, საზოგადოება ახლაც ყურადღებით მოეპყრობა ამ საქმეს, ვინაიდგან სკოლა შორაპნის მაზრის ცენტრში იმართება, რკინის გზის თვალსაჩინო ადგილას და ყველას შეუძლია ადვილათ მისი სარგებლობა.

ია ლუკაძე თა-რა

## შეცდომის გასწორება

წერილი, მოთავსებული „ტრიბუნის“ № 542-ში „სახელოვნო კომიტეტის მუშაობის ნიმუში“-ს სათაურით ეკუთვნის ამბროსიო იობიძეს და არა ამბროსი ლომიძე-ს.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

**დავკარგე** პარტიული მანდატი მოცემული საქ. მემარცხენე სოც. ფედერ. ძონძირ-ისულის თემკომისაგან № 29. ჩაითვალოს გაუქმებულად.
ონისიმე სესიას ძე სალიქანძე.

# ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის
# სავალდებულო დადგენილება
## № 22
**8 აგვისტო 1923 წ.**

ამიერ-კავკასიის აღმასრულებელ კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს ა. წ. 2 აპრილის დეკრეტის თანახმად, თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა: ა. წ. 10 აგვისტოდან შემოღებულ იქმნას ქალაქის ფარგლებში გასასყიდათ მორეკილ წვრილ და მსხვილ ფეხა საქონელზე გადასახადი ჩერვონეცის მანეთებში შემდეგი წესით:

| | | |
|---|---|---|
| I 1) | ხარებზე, ძროხებზე, კამეჩებზე, ცხენებზე, ჯორებზე, აქლემებზე | 50 კ. |
| 2) | ვირებზე | 20 „ |
| 3) | ცხვრებზე, ხბოებზე | 20 „ |
| 4) | თხებზე და ღორებზე | 10 „ |
| 5) | ბატკნებზე, თიკნებზე და გოჭებზე | 8 „ |

II პირველ მუხლში ჩამოთვლილ საქონელთა ყველა გამყიდველი ვალდებულია საქონლის გაყიდვამდე გადაიხადოს სათანადო განაკვეთის მიხედვით და მიიღოს აღმასკომის აგენტისაგან ბილეთი, რომელიც მას უფლებას ანიჭებს აწარმოოს ამა თუ იმ საქონლის გაყიდვა ქალაქის საბაზრო მოედნებზე ბილეთის გაცემის დღის განმავლობაში, საერთო წესის მიხედვით.

III ამ სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავენი დაისჯებიან დაჯარიმებით არა უმეტეს 50 ჩერვონეცის მანეთით, ან ადმინისტრატიული წესით დაპატიმრებით (ვადით) 2 თვემდე.

აღმასკომის თავმჯდომარე: **სუხიშვილი.**
მდივანი: **ფალავა.**

1—1 388

ტორიული მნიშვნელობა და დოქტრინის გამარჯვებისათვის შეურიგებელ და განყენებულ რადიკალიზმის ფორმულებით ნუღარ ვხელმძღვანელობთ პრაქტიკულ მოქმედების დროს“ (იქვე—გვ. 295—6).

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ საკითხის ასე დაყენება **ტიპიური მენშევიკურია.** კაპიტალიზმის ისტორიული მისიის დადებითი შედეგები და მისი საშუალებებით, „საუკეთესო გზით“ ქვეყნის გადემოკრატებაზე ზრუნვა თანამედროვე მენშევიზმის პრაქტიკულ საქმიანობის მთავარ ამოცანას შეადგენს თავიდანვე 1901—2 წლამდინ არჩილის მიერ ასე საკითხის დაყენება, მენშევიკებმა „რადიკალური დემოკრატიზმის“ საზომით განიხილეს და შეურიგებელი ომი გამოუცხადეს. მაგრამ, როდესაც ძალაუფლება ხელთ ჩაიგდეს თვითონვე დასდგენ კაპიტალიზმისავე ნიადაგზე ორივე ფეხებით.

მისაღებია დღეს ეს გზა საქართველოს ინტერესებითვის, ან კაპიტალიზმის გზა „საუკეთესო გზა არის ჩვენი ეროვნების გამაგრებისათვის“?

კაპიტალიზმის „ისტორიული მნიშვნელობის“ შესწავლამ და დაფასებამ ჩვენ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ იგი (კაპიტალიზმი) რეგრესის ფაქტორს წარმოადგენს მთელს მსოფლიოში და აფერხებს კაცობრიობის წინსვლელობის საქმეს. საერთაშორისო კაპიტალიზმი პარაზიტულ მოვლენას წარმოადგენს და იგი დღითი-დღე ლპობის პროცესში იმყოფება. ასეთმა ძირმომპალმა სამეურნეო წყობილებამ თავის შემოსავლის უმთავრეს წყაროდ გადააქცია ჩამორჩენილი ქვეყნები და არ აძლევს მათ შემდეგი განვითარების შესაძლებლობას.*) ასეთს პირობებში გამარჯვება მსოფლიო მაშტაბით კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის ნიშნავს ჩვენი ერის მათი საექსპლოატაციო ობიექტად გადაქცევასა და მისი (ერის) საზოგადოებრივი და სამეურნეო განვითარების ერთ წერტილზე შეჩერებას.

მეორეს მხრით, ქართველი ერი ვერასოდეს ვერ შესძლებს საკუთარი კაპიტალისტური ძალებით სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებას, კაპიტალისტური მეურნეობა თხოულობს ფართო სარბიელს, დიდ კაპიტალსა და ზედმეტი მოგებასა და ღირებულების შექმნის შესაძლებლობას. ეს კი ჩვენში შეუძლებელი არის ეროვნული კაპიტალისტების გზით, **ამიტომ ფაქტიურად შეუძლებელი ხდება „ეროვნული კაპიტალიზმის“ განვითარება ჩვენში:** იგი გადაიქცევა ჩარჩულ, სპეკულიატიურ კაპიტალიზმად, უფრო უკეთეს შემთხვევაში კი მთელს ჩვენს ერს გადააქცევს დაწინაურებული კაპიტალიზმის საექსპლოატაციო ობიექტად.

მოხუცმა კ. კაუცკიმ, რომელიც მენშევიკების დიდი მეგობარია და პირადათ დასტკბა იმ ბედნიერებით, საქართველოს რომ მოუტანა მენშევიკურმა ხელისუფლებამ, თავის საქართველოს საკითხისათვის სპეციალურად დაწერილს წიგნში: „სოციალიზმის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში“ ხაზგასმით აღნიშნა ეს გარემოება. ავტორი სწერდა: „სანამ დიდ სახელმწიფოებს კაპიტალისტური მთავრობები უდგანან სათავეში პატარა სახელმწიფოები პოლიტიკურად და ეკონომიურად იმათზე იქნებიან დამოკიდებული“. (გვ. 27) ცოტა ზევით ავტორი სწერს: „თქვენ ვერ აუვლით გვერდს უცხო კაპიტალის მოწვევის აუცილებლობას. უცხო კაპიტალი, რა თქმა უნდა, არ მოგევლინებათ საჩუქარის სახით; იმ კრიტიკულ მდგომარეობაში, რომელშიაც თქვენ იმყოფებით, მას ვერც საქონლის გაცვლა-გამოცვლით მიიზიდავთ. მისმა შემოსვლამ თქვენს ქვეყანაში შეიძლება ორგვარი ფორმა მიიღოს. უცხო კაპიტალი შეიძლება თქვენში სახელმწიფო სესხის სახით შემოვიდეს ან და კიდევ მეორე სახით: უცხოელი კაპიტალისტები შეიძენენ ან დაარსებენ თქვენში საინდუსტრიო და სატრანსპორტო დაწესებულებებს...

„უცხოეთის დახმარების მეორე ფორმა კი, რომელიც მდგომარეობს უცხო კაპიტალის მიერ საწარმოო დაწესებულებათა შეძენაში ან დაარსებაში, პირიქით, საზღვარ-გარედ ეზიდება არა მარტო კაპიტალის სარგებელს, არამედ მთელს მოგებას ერთიანად. უცხო კაპიტალის მიერ ქვეყნის ექსპლოატაცია აქ გაცილებით უფრო მწვავეა და შინაური ინდუსტრიის განვითარება გაცილებით უფრო ფერხდება, ვინემ პირველ შემთხვევაში“ (იხ. კ. კაუცკი: „სოციალიზმის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში“ გვ. 25, 1920 წ, მენშევიკების ცეკას გამოცემა).

ამ მხრივ კაუცკი სრულს სიმართლეს ამბობდა. მაგრამ, როგორც რეფორმისტი და ოპორტიუნისტი ყალბ დასკვნამდე მიდიოდა და მენშევიკებს კაპიტალიზმთან შეგუების პოლიტიკას უქადაგებდა. კაუცკი ჯერ კიდევ, თავისი მოხუცებულობის 70 წ. თავზედაც ვერ დარწმუნდა იმაში, რომ ევროპის კაპიტალიზმმა უკვე დიდი ხანია დაჰკარგა თავისი პროგრესიული ღირებულება და ცხოვრების შემაფერხებელ ფაქტორად გადაიქცა, რომ კაპიტალიზმს თავისი პოლიტიკით სოციალიზმისაკენ კი არ მივყევართ, არამედ საერთაშორისო ომებისა და საერთო განადგურებისაკენ. ამიტომ ცხოვრების პროგრესის საჭიროება დაჟინებით მოითხოვს არა კაპიტალიზმთან შეგუების პოლიტიკასა და გულზე ხელ დაკრეფილი „ლოდინის პოზიციებზე დგომას“, თუ როდის დაამკვიდრებს ყოვლად ძლიერი კაპიტალიზმი სოციალისტურს წყობილებას, არამედ რევოლიუციონურს თავდასხმას გაბატონებულს წყობილებაზე და ძალდატანების გზით მის გარდაქმნას ახალ სამეურნეო ურთიერთობაზე.

კაპიტალიზმის ბატონობა მეტად ცუდ პერსპექტივებს უშლის ჩვენ ერს მომავალში. ასეთი შესაძლებლობის პირობებში, **ჩვენი ერის,** როგორც ყოფილი კოლონიალური და ჩამორჩენილი, განუვითარებელი ქვეყნის, პირდაპირ ინტერეს შეადგენს, მოსპობა თანამედროვე კაპიტალისტური მეურნეობისა, რომელიც მას განადგურების მეტს არაფერს უქადის, და მოწესრიგება ეროვნული და სოციალური ორგანიზაციების სრულ სხვა სამეურნეო საფუძვლებზე.

ასეთი დიადი ტრანსფორმაციები ერთი ხელის დაჰკვრით არ ხდება და არც მშვიდობიანი გზით არის იგი შესაძლებელი. მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს მშვიდობიანი გადასვლა ერთი სამეურნეო ფორმაციიდან მეორეში. ასეთი დიდი აქტები ყოველთვის იწვევდა მსოფლიო მაშტაბით **ამა თუ იმ სახით** შერყევებს, საწარმოო ძალების შეფერხებასა და კრიზისებს. ფეოდალური წყობილების გარდაქმნა კაპიტალისტურ მეურნეობად არ მომხდარა ერთი უბრალო აქტით და მშვიდობიანი გზით, მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალიზმს ეკონომიურ საშუალებით უკვე ფეოდალურს გარესკნელში დაიჭირა მთავარი სამეურნეო სიმაღლეები და გამაგრდა: ფეოდალიზმის შეცვლას კაპიტალისტურ წყობილებად დასჭირდა რამოდენიმე ათეული წლების მთელი რიგი საერთაშორისო რევოლიუციებისა და რევოლიუციონური ომების. მით უფრო ასეთი მკაცრი ომები და რევოლიუციები დასჭირდება სოციალისტური წყობილების გამტკიცებას: ფეოდალიზმმა უკვე მიიღო თავის საშობო ახალი ფორმაცია და კაპიტალიზმი გამტკიცდა მის წიაღში; სულ სხვა პირობებთან გვაქვს საქმე „კაპიტალიზმის საშობი სოციალიზმის მომწიფების“ საკითხის დროს: კაპიტალიზმის წიაღში არ ჩასახულა სოციალისტური წყობილება, არ მომწიფებულა ახალი სამეურნეო ფორმაცია, ეს შეუძლებელიც არის; ამიტომ რევოლიუციონურს პროლეტარიატს სჭირდება არა მარტო კაპიტალისტური გარესკნელისა და მისი ზედნაშენების მოსპობა, არამედ რევოლიუციონური გზით დამსხვრევა მთელი ძველი სამეურნეო შენობისა და მისი ნანგრევებზე ძალდატანებისავე გზითვე ახალი ფორმაციების აგება. ცხადია, ასეთი საშუალებით კაპიტალიზმიდან სოციალიზმის წარმოებების პროცესი მეტად დიდ ტკივილებს გამოიწვევს: ყოველ მშობიარობას ბუნებრივად თან სდევს საშინელი ტკივილები. ამ გარემოებას ვერ ასცილდება ქართველი ერიც.

დღეს საერთაშორისო მაშტაბით ხდება სასხლის მღვრელი შეტაკებანი ორს სამეურნეო ფორმაციის შორის: კაპიტალიზმსა და სოციალიზმს, იმპერიალიზმსა და რევოლიუციის შორის. ამ ბრძოლის სარბიელს წარმოადგენს მთელი მსოფლიოს ყოველი მომქმედი ერთეული ვალდებულია ან ერთის ან მეორე მებრძოლ ძალის პოზიციებზე ამოყოს თავი: შუაზე დგომა და პილატესებური ნეიტრალიტეტის დაცვა შეუძლებელი არის გადამჭრელ ბრძოლის პროცესში. ქართველმა ერმა, საქართველოს მშრომელმა ხალხმა თავისი მიმავლის ბედი იმ საერთაშორისო მებრძოლ ძალას დაუკავშირა სრულ შეგნებულად, რომელიც მას გზას უხსნის ეროვნულ თავისუფლებისა და კულტურული აყვავებისათვის; გზა რევოლიუციისა და სოციალიზმის არის ერთად ერთი გზა ერების სრული განთავისუფლებისა და მათი არსებობის განმტკიცებისათვის.

შორეულ ჭაღარით მოსილ ისტორიის წარსულში, როდესაც ჩვენი ტერიტორიის გარშემო ერთი მეორეს ეჯახებოდა ორი საერთაშორისო ძალა—ქრისტიანულ-რუსული და მუსულმანურ-ოსმალური, —ჩვენი ერის ხელმძღვანელებმა მაშინდელ ისტორიულ-კონკრეტიულ პირობების მიხედვით ერის ორიენტაციის საკითხი რელიგიური მომენტის ზეგავლენით გადასწყვიტეს უმთავრესად და თავისი ბედი ერთ მორწმუნე რუსეთის ბედს გადააჯაჭვეს. დღეს ჩვენი მოღვაწეობის პროგრამიდან რელიგიურ-ქრისტიანულ-კულტურული მომენტები წაშლილი არის სავსებით და თანამედროვე სულ სხვა გვარი სახის საერთაშორისო ძალთა — კაპიტალიზმისა და სოციალიზმის, იმპერიალიზმისა და რევოლიუციის შეტაკების ფარგლებში ჩვენი ერის ორიენტაციის კითხვას სწყვეტს სადი სოციალურ-კულტურული მომენტებით.

ლენინიზმის სკოლა, როგორც გარკვეული დამთავრებული რევოლიუციონური სისტემა, ხელმძღვანელი, ტონისა და შინაარსის მიმცემი საერთაშორისო მოძრაობის, რომელმაც უნდა იხსნას მთელი კაცობრიობა კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის მძიმე უღლისაგან: კაპიტალიზმის სამარე დილის და ახალი სოციალისტური წყობილების შექმნით გზა ეხსნება ყოველი ერის თავისუფალ არსებობასა და თავისუფალ სოციალურს შემოქმედებას.

ამიტომ არის, რომ ქართველმა მშრომელმა ერმა, სხვა ერებთან ერთად ამ სკოლაში დაინახა თავისი ეროვნული მისწრაფებათა რეალური გარანტიების გარანტიები და სრულიად შეგნებულად თავისი პატარა იალქანი დიად რევოლიუციონური მორევის რაობის გემს გამოაბა.

(დასასრული)

**ხან-დონი.**

*) „უცხოეთის იმპერიალიზმმა, რომელიც ძალით შემუნილია აღმოსავლეთის ერებში, აუცილებლად შეაფერხა მათი საზოგადოებრივი და სამეურნეო განვითარება და წაართვა მათ შესაძლებლობა მიაღწიონ იმ დონემდე, სანამდეც მიაღწივს ევროპა და ამერიკაში იმპერიალისტური პოლიტიკის წყალობით, რომელიც მიილტვის შეაჩეროს სამრეწველო განვითარება კოლონიებში“. ამბობს ერთ-ერთი მუხლი კომ. ინტერნაციონალის რეზოლიუცია ნაციონალურ საკითხის შესახებ.

ტირაჟი 1900 [illegible] მთავარი მართველობის მიერ № 531 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-ში, [illegible] ქუჩ. № 4